KOPALA

კოპალა

0103, Tbilisi, Georgia, 8/10 Chekhov str. Tel:(995 32)775520,Fax:(995 32)775590

0103, თბილისი, 8/10 ჩეხოვის ქ. ტელ:(995 32)775520,ფაქსი:(995 32)775590

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის
უფროსს ბ-ნ არისი ბოჭოიძეს,
ქ. თბილისში მდებარე მშენებარე ობიექტის (რომელიც
მდებარეობს დუტუ მეგრელისა და ღვინის აღმართის
კვეთაზე) მფლობელის თორნიკე კოპალეიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მივიღეთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის საბოლოო რედაქცია, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ და რა თქმა უნდა გამოვიყენებთ სახელმძღვანელოდ. დასანანია, რომ მხარდაჭერა ვერ მიიღო ჩვენს მიერ შემოთავაზებულმა ესკიზმა, რის გამოც პროექტიდან ამოვარდა სასტუმროს 5 ოთახი, რაც სერიოზული დანაკლისია ისეთი პატარა სასტუმროსთვის, როგორიც ჩვენია (მთლიანობაში დაგეგმილი იყო 16 ოთახი). ამჟამად რჩება 11 ოთახი, რის გამოც სასტუმროს რენტაბელობა კითხვის ქვეშ დგება, სამწუხაროა, რომ პროექტის განხილვას არ ესწრებოდა მისი ავტორი.

ბ-ნო არისი თუ ამისი ოდნავი საშუალებაა, იქნებ ხელმეორედ გადახედოთ პროექტის ახალი ვერსიის განხილვას.

პატივისცემით თ.კოპალეიშვილი